ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის მაჟორიტარი
დეპუტატის ტიტე მგელაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

უფლებამოსილების ცნობიდან 2014 წლის 2 აგვისტოდან დღემდე, რომელიც მოიცავს 5 თვეს ჩემი საქმიანობისა, ვსარგებლობდი საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონით (ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, ასევეშესაბამისი ნორმატიული აქტებით მოსახლეობასთან შეხვედრები ხდებოდა ყოველთვიურ რეჟიმში. შეხვედრებს წარვმართავდი ყოველდღიურად ,როგორც სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უბნებში მისვლით. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მისი შესაბამის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით მრავალ ოჯახს გაეწია დახმარება. საკრებულოს ინიციატივით განხორციელდა არაერთი ღონისძიება. შევქმენით მუნიციპალიტეტში მოქმედი წესი საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ.დავადგინეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საჯარო სამსახურში კონკურსის წესით დანიშნულ იქნა კადრები.სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, ნაცვლად 100 ლარიანი პაკეტისა ერთჯერადად მიიღებს 150 ლარს.

საკრებულოს რეგლამენტის თანახმად ვარ ორი კომისიის წევრი

1.სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის.

2.განათლების, კულტურის, სპორტისა, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის.

აქტიურად ვარ ჩართული კომისიების საქმიანობაში, ვესწრები კომისიის ყველა სხდომას

ვარ ფრაქცია“ქართული ოცნება“-ს წევრი.ვმონაწილეობ ფრაქციების სხდომებში

ამომრეველთა მიღებისა და შეხვედრების დროს გამოიკვეთა პრობლემები: სოფლის ცენტრალური და შიდა გზების მოწესრიგება, მოსახლეობის დასაქმება, გაზიფიცირება, სანაგვე ბუნკერების დადგმა.

ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თოთხმეტივე სხდომაში .სადაც მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

ჩემი გამოცდილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში მზად ვარ აქტიურად ვითანამშრომლო მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აღმასრულებელ ორგანოებთან.

ტიტე მგელაძე

20.01.2015